საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 2

" 17 " ივნისი 2021 წ.

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის კანდიდატების წარდგენის შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, ამავე მუხლის ამავე პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინოს შემდეგი კანდიდატები:

ა) გიორგი გოგიაშვილი (12 ხმა);
ბ) გოჩა აბუსერიძე (12 ხმა);
გ) ლევან თევზაძე (11 ხმა);
დ) ქეთევან მესხიშვილი (11 ხმა);
ე) გიორგი შავლიაშვილი (12 ხმა);
ვ) რევაზ ნადარაია (11 ხმა);
ზ) ბიძინა სტურუა (12 ხმა);
თ) ეკა ზარნაძე (12 ხმა);
ი) ლაშა ქოჩიაშვილი (12 ხმა).

2. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ეს წარდგინება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. საჩივარი წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს (მის.: თბილისი, ბოჭორმის ქ. 12) ამ წარდგინების საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 1 კვირის ვადაში.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

კანდიდატის შერჩევის პროცედურასთან დაკავშირებული
ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირთა კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით აღნიშნული პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ეკა ზარნაძე.

2020 წლის 22 დეკემბერს შედგა ეკა ზარნაძის საჯარო მოსმენა.

კანდიდატების საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ეკა ზარნაძე შეფასდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 წევრის მიერ. კომპენტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას კანდიდატის მიერ დაგროვებული ქულების რაოდენობა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმით გათვალისწინებული შეფასებები მათ დასაბუთებებთან ერთად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ვინაობის მითითებით, გასაჯაროების მიზნით 2021 წლის 31 მაისს განთავსდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

კანდიდატმა კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დააგროვა **1108 ქულა,** ხოლო კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თორმეტმა წევრმა მიიჩნია, რომ ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებდა კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე კანდიდატების გადასვლის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 1 ივნისის №1/41 განკარგულებით ეკა ზარნაძე გადავიდა საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე. კანდიდატმა კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით დაიკავა მერვე ადგილი.

2021 წლის 17 ივნისს გამართულ საბჭოს ღია სხდომაზე კენჭი ეყარა ეკა ზარნაძის კანდიდატურას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის მიზნით. აღნიშნული კენჭისყრის დროს კანდიდატმა ეკა ზარნაძემ მოიპოვა საბჭოს 12 წევრის (ნ.ქადაგიძე; ნ.მარსაგიშვილი; ვ.მშვენიერაძე; ქ.ცინცაძე; თ.ონიანი; დ.გვრიტიშვილი; თ.ლეონიძე; ი.ბონდარენკო; ლ.გზირიშვილი; ი.გელაშვილი; ზ.ხარებავა; თ.ღვამიჩავა) მხარდაჭერა.

01.12.2020

ს ა ე რ თ ო ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ეკა ზარნაძე

ასაკი: **46 წლის** დაბადების თარიღი: **21 ივლისი, 1974 წ.** განათლება: **უმაღლესი იურიდიული, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, სამართლის დოქტორი (თსუ)** სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **24 წელი** სამუშაო ადგილი: **თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე**	
განაცხადის შევსებისასა წარმოდგენილი დოკუმენტაცია	
განაცხადი	√
ავტობიოგრაფია/რეზიუმე	√
დიპლომი	√
შრომის წიგნაკის ამონაწერი/ნამსახურობის ნუსხა	√
ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ	√
ცნობა ნასამართლობის შესახებ	√
დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ	√

მოძიებული ინფორმაცია

რეკომენდაციები და კითხვარები
• რეკომენდაციის სტანდარტული ფორმა (სამი რეკომენდატორი) • კითხვარის სტანდარტული ფორმა (სამი რესპოდენტი)
შეჯამება: **რეკომენდაცია:** - **რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის კომპეტენტურობას, სამართლიანობას, დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა და ა.შ.** **კითხვარები:** - **გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად, ხოლო ერთ-ერთი რესპოდენტი მის პირად თვისებებს იცნობს საშუალოდ. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.**

ინფორმაცია კანდიდატის აქტივობის შესახებ

- **კანდიდატის განაცხადში არსებული ინფორმაცია** (იხილეთ განაცხადი/ავტობიოგრაფია)
  - ✓ სერთიფიკატები

შეჯამება:

ეკა ზარნაძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

თემები:

- ბავშვთა უფლებები - სემინარი.
- სამოსამართლო ქცევა და ეთიკა - სემინარი.
- მოწმისა და დაზარალებულის უფლებები და მათი დაცვის სამართლებრივი გარანტიები - სემინარი.
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - სემინარი.
- სასამართლო პროცესზე კომუნიკაციის სტანდარტები - სემინარი.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებები - სემინარი.
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია - სემინარი.
- პირველი ინსტანციის სასამართლოს სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილების წერის ტექნიკა - სემინარი.
- ლიზინგი სამართლებრივ ასპექტში - სემინარი.
- საქმის წარმოების პროგრამა - სემინარი.
- სამოქალაქო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილების აღსრულება - სემინარი.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებები - სემინარი.
- კრედიტის უზრუნველყოფა - სემინარი.
- საავტორო და სავაჭრო სამართალი - სემინარი.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პრობლემატური საკითხები - სემინარი.
- გადახდისუუნარობა - სემინარი.
- მტკიცებულებათა შეფასება სამოქალაქო პროცესში - სემინარი.
- სამუშაო ტექნიკა სამოქალაქო პროცესში, გადაწყვეტილების ჩამოყალიბება, აგებულება, დასაბუთება - სემინარი.
- ცალკეული კატეგორიის დავების განხილვის თავისებურებანი - სემინარი.
- გერმანიის სამოქალაქო და კომერციული სამართალი, სასამართლო პრაქტიკა - სემინარი, გერმანია და ა.შ.

პედაგოგიური საქმიანობა:

- კანდიდატი 1997 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (ასოცირებული პროფესორი, მოწვეული ლექტორი). 2019-2020 სასწავლო წლის სალექციო კურსი: ფასიანი ქაღალდების სამართალი.
- 2012 წლიდან მუშაობს საქართველოს უნივერსიტეტში და ამჟამად იკავებს სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას. 2019-2020 სასწავლო წლის სალექციო კურსი: საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი და სასამართლო პრაქტიკა.
- 2014 წლიდან აკადემიურ საქმიანობას ეწევა ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში (ასოცირებული პროფესორი, პროფესორი).
- ეკა ზარნაძე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა სსიპ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში 2014 წლიდან. 2020 წელს უძღვებოდა სკოლის მსმენელთა სალექციო კურსს „კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ და სემინარს მოსამართლეთათვის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“.

<u>სამართლებრივი სტატიები, სამართლებრივი წიგნის ავტორი/თანაავტორი:</u>

- „ფასიანი ქაღალდების ცნება და კლასიფიკაცია“, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული. რედ. რომან შენგელია, 2004 წ.
- „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება“, ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა - Georgian Law Review, 10N1, 2007 წ.
- „საორდერო ფასიანი ქაღალდი და მისი სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი ასპექტები“, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N11, 2011 წ.
- „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის ინსტიტუტის ნორმათა უნიფიცირება და ჟენევის კონვენცია ფასიანი ქაღალდების შესახებ“, ბესარიონ ზოიძე 60 - საიუბილეო კრებული/ რედ. ლადო ჭანტურია, ირაკლი ბურდული; თბილისი, 2014 წ.
- „მემკვიდრეობის სამართალი“.
- „სასამართლო პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში“. რედაქტორი: გიორგი ხუბუა, თანაავტორები: ლალი ლაზარაშვილი, თენგიზ ლილუაშვილი, პაატა ლობჟანიძე, 2003 წ.
- „სავარჯიშოები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილსა და სანივთო სამართალში“. თანაავტორები: ბესარიონ ზოიძე, ლადო ჭანტურია, თამარ ზარანდია, ლალი ლაზარაშვილი, თამარ ლაკერბაია, ქეთევან ქოჩაშვილი, სერგი ჯორბენაძე: თბილისი, 2014 წ.
- კანდიდატის აღნიშნავს, რომ გამოცემისათვის მომზადების პროცესშია „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, სადაც ის არის ავტორი 911-929-ე მუხლების კომენტარებისა.
- კანდიდატი განაცხადში უთითებს, რომ 2005-2008 წლებში იყო ჟურნალ ქართული სამართლის მიმოხილვის - Georgian Law Review - სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ინფორმაცია ინტერნეტ სივრცეში კანდიდატის შესახებ

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის ინფორმაცია.
  - ✓ https://imedinews.ge/ge/politika/118611/37-mosamartle-uvadod-dainishna
  - ✓ https://ipress.ge/new/iustitsiis-umaghlesma-sab-2/
  - ✓ https://www.interpressnews.ge/ka/article/611481-iusticiis-umaglesi-skolis-organizebit-treningebi-gaimarta-temaze-bavshvis-uplebata-kodeksi/

შეჯამება:

<u>ეკა ზარნაძის თაობაზე მედიაში არსებული ინფორმაცია:</u>

- ეკა ზარნაძის შესახებ გამოქვეყნდა ინფორმაცია მისი მოსამართლედ გამწესების თაობაზე.
- მედია სივრცეში გავრცელებული ინფორმაციები იხილეთ ზემოთ მითითებულ ბმულებზე.

ინფორმაცია კანდიდატის სოციალურ ქსელებში აქტივობისა და საჯარო გამოსვლების შესახებ

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის ინფორმაცია.

შეჯამება:

- კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით.

ინფორმაცია ფინანსური ვალდებულებების თაობაზე

- სსიპ შემოსავლების სამსახური
- სს „კრედიტინფო საქართველო“

- ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
  - ✓ მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრი
  - ✓ უძრავი ქონების რეესტრი

შეჯამება:

- ეკა ზარნაძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება.
- არ აქვს მიმდინარე სესხი.
- აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია.
- კანდიდატის სახელზე უძრავი ქონება რეგისტრირებული არ არის. მის საკუთრებაშია მსუბუქი ავტომანქანა.
- მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

ინფორმაცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი

შეჯამება:

2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრამდე ჩათვლით:

- ასკ მუხლი 118[2], („სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა"; ჯარიმა - 30 ლარი/გაფრთხილება, 2 შემთხვევა).
- ასკ მუხლი 125, ნაწ.6 („მოძრაობის წესების დარღვევა, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას"; ჯარიმა - 20 ლარი, 6 შემთხვევა).
- ასკ მუხლი 125, ნაწ.6[2] („გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა"; ჯარიმა - 50 ლარი, ერთი შემთხვევა).
- ასკ მუხლი 125, ნაწ.8 („ამკრძალავი ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა"; ჯარიმა - 10 ლარი/გაფრთხილება, 4 შემთხვევა).
- ასკ მუხლი 118[1] („უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა"; გაფრთხილება, ერთი შემთხვევა); შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი.
- ასკ მუხლი 125, ნაწ.12 („„BUS LANE"-ში მოძრაობა, გაჩერება ან დგომა"; ჯარიმა - 100 ლარი, 2 შემთხვევა).
- ასკ მუხლი 125[2], ნაწ. 1 („პარკირების საფასურის გადახდის გარეშე სატრანსპორტო საშუალების დგომა"; ჯარიმა - 10 ლარი, ერთი შემთხვევა).

(აღნიშნული ჯარიმები გადახდილია დროულად)

ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების/ადმინისტრაციული სახდელების შესახებ

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ინფორმაცია

შეჯამება:

- ე. ზარნაძის მიმართ დისციპლინური დევნა დაიწყო დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე ერთ საქმეზე:
  მოსამართლეს ჩამოერთვა ახსნა- განმარტება, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით შეწყდა დისციპლინური დევნა.

ინფორმაცია მხარედ მონაწილეობის შესახებ

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტიდან
- კანდიდატის მიერ განაცხადში ასახული ინფორმაცია (იხილეთ განაცხადი/ავტობიოგრაფია)
- საქართველოს გენერალური პროკურატურიდან შესაძლო დაზარალებულად ცნობის თაობაზე ინფორმაცია

შეჯამება:

- კანდიდატი მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა.

ინფორმაცია პოლიტიკური აქტივობის შესახებ

- კანდიდატის მიერ განაცხადში ასახული ინფორმაცია (იხილეთ განაცხადი/ავტობიოგრაფია)
- პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგი (შემომწირველთა ერთიანი სია)
  - ✓ www.monitoring.sao.ge

შეჯამება:

- ე. ზარნაძე არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

სამართლებრივი დოკუმენტი

კანდიდატმა წარმოადგინა:

- სასამართლო გადაწყვეტილება
  - ✓ გადაწყვეტილება 1
  - ✓ გადაწყვეტილება 2
- სამართლებრივი პუბლიკაცია
  - ✓ სტატია
  - ✓ მოხსენება

შეჯამება:

სასამართლო გადაწყვეტილება:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N2/-16 (დავის საგანი - მშობლად აღიარება).
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N2/21127-15 (დავის საგანი - არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, მშობლის უფლების შეზღუდვა).

სამართლებრივი პუბლიკაციები:

- არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები.
- „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის ინსტიტუტის ნორმათა უნიფიცირება და ჟენევის კონვენცია ფასიანი ქაღალდების შესახებ“, ბესარიონ ზოიძე 60 - საიუბილეო კრებული/ რედ. ლადო ჭანტურია, ირაკლი ბურდული; თბილისი, 2014 წ.

სამოსამართლო გამოცდილება:

სამოსამართლო უფლებამოსილება
• [მოსამართლის თანამდებობაზე განწესების/განთავისუფლების საფუძვლები]
შეჯამება: - მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება: 13 წელი. - 2007-2011 წლებში ახორციელებდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის უფლებამოსილებას. 2008-2009 წლებში მივლინების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა მცხეთის რაიონულ სასამართლოში. - 2009-2011 წლებში მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა გორის რაიონულ სასამართლოში. - 2012-2013 წლებში იყო გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. - 2013-2017 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. - 2017-2020 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. - 2019 წლის ოქტომბრიდან თანამდებობაზე გამწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. - 2020 წლის ივლისიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე.
სტატისტიკური ინფორმაცია წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის თაობაზე
• [საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტიდან ინფორმაცია]
შეჯამება: 2017 წლის ნოემბერი - 2020 წლის ნოემბერი - საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით 95,5%; ვადის დარღვევით 4,5%. - გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით 100%. - გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი 96,2%; შეცვლილი 23,8%. - საანგარიშო პერიოდში (958 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 842 საქმე, დღეში საშუალოდ 1 საქმემდე.

დამატებითი ინფორმაცია

• [საკვალიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია] • კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია (*იხილეთ განაცხადი/ავტობიოგრაფია*)
შეჯამება: საკვალიფიკაციო გამოცდები/სასწავლო კურსები - ე. ზარნაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია; 27.05.2007).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ეკა ზარნაძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**20**
წერის უნარი	**19**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**5**	**5**
პროფესიული აქტივობები	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**95**	**100**

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ეკა ზარნაძის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - ეკა ზარნაძე.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.4. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტის ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული

მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების გზით.

I. ნაწილი ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

სახელი, გვარი – ეკა ზარნაძე

ასაკი: 46 წლის

დაბადების თარიღი: 21 ივლისი, 1974 წ.

განათლება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – უმაღლესი იურიდიული; იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი; სამართლის დოქტორი

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 24 წელი

სამუშაო ადგილი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით მოსამართლეობის კანდიდატის, ეკა ზარნაძის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი

- კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის კომპეტენტურობას, სამართლიანობას, დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას და ა.შ.

- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად, ხოლო ერთ-ერთი რესპოდენტი მის პირად თვისებებს იცნობს საშუალოდ. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

- ეკა ზარნაძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, არ აქვს მიმდინარე სესხი და აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის მიერ სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, ფიქსირდება შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები: ასკ-ის 118^2 მუხლი („სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა"; ჯარიმა - 30 ლარი/გაფრთხილება, 2 შემთხვევა, ჯარიმა გადახდილია დროულად, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 125-ე მუხლის მე-6 ნაწილი („მოძრაობის წესების დარღვევა, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას", ჯარიმა - 20 ლარი, 6 შემთხვევა. ჯარიმები გადახდილია დროულად (ვიდეოჯარიმა), შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 125-ე მუხლის 6^2 ნაწ. („გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა", ჯარიმა - 50 ლარი, 1 შემთხვევა. ჯარიმა გადახდილია დროულად (ვიდეოჯარიმა), შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილი („ამკრძალავი ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა"; ჯარიმა - 10 ლარი/გაფრთხილება, 4 შემთხვევა. ჯარიმები გადახდილია დროულად, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 118^1 მუხლი („უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა"; გაფრთხილება, 1 შემთხვევა; შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილი („BUS LANE"-ში მოძრაობა, გაჩერება ან დგომა"; ჯარიმა - 100 ლარი, 2 შემთხვევა. ჯარიმები გადახდილია დროულად (ვიდეოჯარიმა), შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 125^2 მუხლის პირველი ნაწილი („პარკირების საფასურის გადახდის გარეშე სატრანსპორტო საშუალების დგომა"; ჯარიმა - 10 ლარი, 1 შემთხვევა. ჯარიმა გადახდილია დროულად, ქ. თბილისის სატრანსპორტო კომპანია).

დაკისრებული ჯარიმების მიუხედავად, მათი დროულად გადახდის ფაქტი და მოძიებული ინფორმაცია **მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების

დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.;

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან/და მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ეკა ზარნაძის მიმართ დაწყებულია დისციპლინური დევნა.

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, ეკა ზარნაძე მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა.

- საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, ეკა ზარნაძის მიმართ ინფორმაცია არ მოიპოვება.

კანდიდატი იცავს ქცევის მაღალ სამოსამართლეო სტანდარტს. არაეთიკური ან არაკორექტული ქცევა მისი მხრიდან არ გამოვლენილა, არის გაწონასწორებული და თავდაჭერილი, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - მხედველობაში მიიღება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, ისინი ყურადღებას ამახვილებენ კანდიდატის სამართლიანობაზე, კეთილსინდისიერებაზე, კომპეტენტურობაზე, კოლეგიალურობაზე, პრინციპულობაზე და ა.შ., **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმების საფუძველზე გამოვლენილი არ იქნა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის რეპუტაცია და ავტორიტეტი. ამდენად, ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის, ეკა ზარნაძის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერის უნარი;*
4. *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
5. *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
6. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
7. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

ჩემ მიერ შეფასებულ იქნა ეკა ზარნაძის მონაწილეობით განხილული საქმეები, მათ შორის:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N2/-16 (დავის საგანი - მშობლად აღიარება).
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N2/21127-15 (დავის საგანი - არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, მშობლის უფლების შეზღუდვა).

გავეცანი ეკა ზარნაძის შემდეგ სამართლებრივ პუბლიკაციებს:

- არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები.
- „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის ინსტიტუტის ნორმათა უნიფიცირება და ჟენევის კონვენცია ფასიანი ქაღალდების შესახებ", ბესარიონ ზოიძე 60 - საიუბილეო კრებული/ რედ. ლადო ჭანტურია, ირაკლი ბურდული; თბილისი, 2014წ.

ასევე გავაანალიზე გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები და მიმაჩნია, რომ ეკა ზარნაძე ხასიათდება მაღალი პროფესიონალიზმით, აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ღრმა ცოდნა. კანდიდატი კარგად იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს. გამოირჩევა სამართლის თეორიული ასპექტების სიღრმისეული ცოდნით.

გასაუბრების ეტაპზე, შეკითხვაზე: ეთანხმება თუ არა მოსაზრებას, რომ ჯვრისწერა იყოს ქორწინების რეგისტრაციის საფუძველი, კანდიდატმა თანმიმდევრულად და დასაბუთებულად გასცა პასუხი, მათ შორის, საკითხი განიხილა დისკრიმინაციის ჭრილში, რამაც მის პასუხს შესძინა განსაკუთრებული ინტერესი და გამოავლინა კანდიდატის ხედვების არაორდინალურობა.

კანდიდატმა სრულყოფილად და ამომწურავად ისაუბრა ნორმის ერთგვაროვანი განმარტების მნიშვნელობაზე, სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე, თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების საფრთხეებზე საპროცესო უფლებების დაკნინების კონტექსტში, ფაქტებისა და შეფასებების მნიშვნელობასა და მათ ურთიერთმიმართებაზე, გულმოდგინების ვალდებულებაზე სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ასპექტში.

გამოხატვის თავისუფლებაზე დასმულ შეკითხვაზე, კანდიდატის მსჯელობის პროცესმა ძირითადად სრულად მოიცვა ადამიანის ბუნებითი უფლებები, კანდიდატმა მოახდინა ამ უფლებების სხვა დაპირისპირებულ უფლებებთან კონტექსტში განხილვა, ისაუბრა სიძულვილის ენაზე, რელიგიურ გრძნობებზე, პირადი ცხოვრების დაცულობის ელემენტებზე, რაც მეტყველებს იმაზე, რომ კანდიდატი იცნობს ამ მიმართულებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და ახერხებს მის ეფექტურ იმპლემენტაციას ეროვნულ დონეზე.

კანდიდატი სწორად და სიღრმისეულად აყალიბებს სამოქალაქო სამართლის პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებულ ხედვებს. ასევე კარგად იცნობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, კანდიდატი გამოირჩევა როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული საკითხების სიღრმისეული ცოდნით და კარგი ანალიზის უნარით.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 18 **ქულით.**

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

ეკა ზარნაძეს გააჩნია მოსამართლედ მუშაობის 13 წლიანი გამოცდილება, რაც მიუთითებს მის მაღალ პროფესიულ გამოცდილებასა და კვალიფიკაციაზე.

გადაწყვეტილებებში კანდიდატი ავითარებს ლოგიკურ მსჯელობებს, არგუმენტები არის ძირითადად ნათლად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბებული, ემყარება მხარეთა მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს, რაც მიუთითებს, რომ მოსამართლემ შეისწავლა და გააანალიზა მხარეთა მიერ წარდგენილი არგუმენტები.

აღნიშნული მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **18 ქულით.**

3. წერის უნარის მახასიათებელი

როგორც უკვე აღინიშნა, კანდიდატს გადაწყვეტილებები მიღებული აქვს დასაბუთების მაღალი სტანდარტის დაცვით, გადაწყვეტილებებში იგი ავითარებს ლოგიკურ მსჯელობებს, აზრი ჩამოყალიბებულია ნათლად და გასაგებად. კანდიდატი სწორად იყენებს პუნქტუაციისა და მართლწერის წესებს.

კანდიდატის წერის კულტურაზე ასევე მიუთითებს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო სტატიები.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 19 **ქულით.**

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

კანდიდატი აზრს აყალიბებს ნათლად და გასაგებად, აქვს მეტყველების აკადემიური სტილი, გააჩნია მოსმენის კულტურა.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 15 **ქულით.**

5. პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის მახასიათებელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, ეკა ზარნაძის მიერ განხილულ საქმეთა მაჩვენებელი შემდეგნაირია:

- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით 95,5%; ვადის დარღვევით 4,5%.
- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით 100%.
- გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი 96,2%; შეცვლილი 3,8%.
- საანგარიშო პერიოდში (958 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 842 საქმე, დღეში საშუალოდ 1 საქმემდე.

აღნიშნული ინფორმაცია ადასტურებს, რომ კანდიდატი სწორად ახორციელებს საქმეთა ნაკადის მართვას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც იგი პარალელურად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კითხულობს ლექციებს და იმავდროულად აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტიპის ლექცია/სემინარებს.

საქმეთა განხილვის ვადები, საქმეთა სტაბილურობის მაჩვენებელი და კანდიდატის მხრიდან უდიერი, არაკორექტული ან არაეთიკური გამოვლინებების ფაქტების არარსებობა, მაძლევს საფუძველს, აღნიშნულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **15 ქულით.**

6. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ მიუხედავად საქმეთა სიმრავლისა, კანდიდატი აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტრენინგებს და სასწავლო კურსებს, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი მიღებულ ცოდნას იყენებს როგორც სამოსამართლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, ისე პედაგოგიურ საქმიანობაში.

კანდიდატი არის სამართლის დოქტორი, იურიდიულ წრეებში სარგებლობს მაღალი რეპუტაციით.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 5 ქულით.

7. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს არაერთ შეხვედრასა თუ დისკუსიაში, არის რამდენიმე სამართლებრივი სტატიისა და წიგნის ავტორი/თანაავტორი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 5 ქულით.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 95 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ეკა ზარნაძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**17**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**20**	**20**
წერის უნარი	**20**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობები	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**95**	**100**

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 28/05-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ეკა ზარნაძის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ეკა ზარნაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი ეკა ზარნაძე არის თავდაჭერილი, შეუვალი, კორექტული და აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ამასთან, იგი იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და სამსახურებრივ და ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. უნდა ითქვას ისიც, რომ ეკა ზარნაძის პირად თვისებებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები, რომლებიც კარგად იცნობენ კანდიდატს
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

			და მასთან აქვთ პირადი თუ სამსახურებრივი ურთიერთობა აფასებენ დადებითად.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20	ეკა ზარნაძე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით სიღრმისეულად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. აგრეთვე, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ასევე, კანდიდატი ეცნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ეკა ზარნაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია).
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება. ამასთან გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებითა და აზრის დამაჯერებლად გადმოცემის უნარით.
წერის უნარი	20	20	ეკა ზარნაძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[1] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია

[1] სასამართლო გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N2/-16, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N2/21127-15, სამართლებრივი პუბლიკაციები: „არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები", „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის ინსტიტუტის ნორმათა უნიფიცირება და ჟენევის კონვენცია ფასიანი ქაღალდების შესახებ", ბესარიონ ზოიძე 60 - საიუბილეო კრებული/ რედ. ლადო ჭანტურია, ირაკლი ბურდული; თბილისი, 2014 წ.

			ითქვას, რომ მას აქვს სათანადო წერის უნარი. კერძოდ, იგი თანმიმდევრულად აყალიბებს ფაქტებსა და სამართლებრივ საკითხებს. მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის ცხადი და არაორაზროვანი. ამასთან, ტექსტი აგებულია ნათელი და გამართული ენით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	კანდიდატი არის თავდაჯერებული, მშვიდი და გაწონასწორებული. ამასთან, იგი გამოირჩევა საკუთარი მოსაზრების ღიად, თავისუფლად გადმოცემისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარით.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	ეკა ზარნაძე არის შრომისმოყვარე, მიზანდასახული და პროდუქტიული. ამასთან, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა (95,5%) და უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებლები (96,2%).
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	კანდიდატი ცოდნის გაღრმავების, ახალი უნარების შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, ესწრება სემინარებს.
პროფესიული აქტივობა	5	5	ეკა ზარნაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. აგრეთვე, იგი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და წარმოადგენს სამართლებრივი სტატიებისა და სამართლებრივი წიგნის ავტორს/თანაავტორს.
ქულათა ჯამი	95	100	
დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით**		

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ეკა ზარნაძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ეკა ზარნაძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, ეკა ზარნაძის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ეკა ზარნაძის შეფასებისას გათვალიწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u>* მახასიათებლის თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ ეკა ზარნაძეს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები, რომლებიც კარგად იცნობენ კანდიდატს და მასთან აქვთ სამსახურებრივი თუ პირადი ხასიათის ურთიერთობა, ახასიათებენ როგორც წესიერ პატიოსან და კეთილსინდისიერ პიროვნებას. ამასთან, საჯარო მოსმენაზე ეკა ზარნაძე იყო საკმაოდ თავდაჯერებული, კორექტული და გაწონასწორებული. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე კი შესაძლებელია აღინიშნოს, რომ კანდიდატს სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად.

რაც შეეხება *<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს,</u>* ეკა ზარნაძის თაობაზე მოძიებული ინფორმაციითა და მის მიერ საჯარო მოსმენაზე გამოვლენილი თვისებების გათვალისწინებით, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი არის პრინციპული, პიროვნულად მყარი, ზეგავლენის მიმართ მედეგი და გააჩნია

	გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ასევე, გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატის დახასიათებისას აღნიშნავენ, რომ იგი არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, სამართლიანი და პიროვნულად მტკიცე. რაც შეეხება, ეკა ზარნაძის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, ამასთან დაკავშირებით უნდა აღნიშნოს, რომ კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოკვეთილა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები. *<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. მნიშვნელოვანია, რომ ეკა ზარნაძე საჯარო მოსმენაზე იყო საკმაოდ თავდაჭერილი, მშვიდი, თავაზიანი და გამოირჩეოდა საკუთარი ემოციების მართვის უნარით. ამასთან, კანდიდატი სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. ხოლო რაც შეეხება, ეკა ზარნაძის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საკითხს, ამის თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა დაიწყო და დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე ერთ საქმეზე მას ჩამოერთვა ახსნა-განმარტება. მაგრამ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით ეკა ზარნაძის მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა. *<u>პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებელს</u>* რაც შეეხება, კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ასევე, აღნიშნავენ, რომ იგი კოლეგებსა და იურიდიულ წრეებში სარგებლობს მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში გამოქვეყნდა ინფორმაცია მხოლოდ მისი მოსამართლედ განწესების თაობაზე. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ ეკა ზარნაძე აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში და ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. *<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით, შესაძლებელია ითქვას, რომ ეკა ზარნაძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც

	შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ეკა ზარნაძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. კანდიდატის მიერ *<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის</u>* კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ ეკა ზარნაძე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით სიღრმისეულად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. აგრეთვე, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ასევე, იგი ეცნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. მნიშვნელოვანია, რომ ეკა ზარნაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია). იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2020 წლის 22 დეკემბერს ეკა ზარნაძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. იგი იყო თავდაჯერებული, მშვიდი და ცდილობდა თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად

[2] იხ. ეკა ზარნაძესთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=2twqnHz--iQ

	გაეცა პასუხი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმული შეკითხვებისათვის. აღსანიშნავია, რომ იგი საკუთარ პოზიციას გამოხატავდა ნათლად და დამაჯერებლად, ამასთან, სიღრმისეულად აანალიზებდა სამართლებრივ საკითხებს და უმეტესად ამომწურავად პასუხობდა დასმულ შეკითხვებს. კანდიდატის *<u>სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან</u>* დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ ეკა ზარნაძეს აქვს მრავალწლიანი სპეციალობით, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება. კანდიდატი ამჟამად არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე. ეკა ზარნაძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[3] შესწავლის საფუძველზე კი უნდა აღინიშნოს, რომ მას აქვს სათანადო წერის უნარი. კერძოდ, იგი თანმიმდევრულად აყალიბებს ფაქტებსა და სამართლებრივ საკითხებს. მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის ცხადი და არაორაზროვანი. ამასთან, ტექსტი აგებულია ნათელი და გამართული ენით. მნიშვნელოვანია, რომ შესწავლის დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. ეკა ზარნაძის *<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარს</u>* რაც შეეხება, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი არის თავდაჯერებული, მშვიდი და გაწონასწორებული. ამასთან, იგი გამოირჩევა საკუთარი მოსაზრებების ღიად, თავისუფლად გადმოცემისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარით. კანდიდატის *<u>პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით</u>* მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია ითქვას, რომ ეკა ზარნაძე გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით, გულმოდგინებით და გააჩნია საქმის ჯეროვნად, პასუხისმგებლობით მომზადების, მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. ასევე, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატს აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის,

[3] სასამართლო გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N2/-16, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N2/21127-15, სამართლებრივი პუბლიკაციები: „არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები", „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის ინსტიტუტის ნორმათა უნიფიცირება და ჟენევის კონვენცია ფასიანი ქაღალდების შესახებ", ბესარიონ ზოიძე 60 - საიუბილეო კრებული/ რედ. ლადო ჭანტურია, ირაკლი ბურდული; თბილისი, 2014 წ.

	გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების შესაძლებლობა. უშუალოდ ეკა ზარნაძის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თაობაზე კი უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა (95,5%) და უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებლები (96,2%). კანდიდატის *<u>აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის</u>* თაობაზე შეიძლება ითქვას, რომ იგი გამოირჩევა ცოდნის გაღრმავების, ახალი უნარების შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების ინტერესით. ეკა ზარნაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. აგრეთვე, იგი არის სამართლის დოქტორი, გააჩნია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. მნიშვნელოვანია, რომ ეკა ზარნაძე წარმოადგენს სამართლებრივი სტატიებისა და წიგნების ავტორს/თანაავტორს. აგრეთვე, იგი იყო ჟურნალ - ქართული სამართლის მიმოხილვის - Georgian Law Review სარედაქციო კოლეგიის წევრი. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ ეკა ზარნაძესთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 95 ქულას. შესაბამისად, კანდიდატის ცოდნის, პროფესიული გამოცდილებისა და მის მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს უნარი ღირსეულად შეასრულოს უზენაესი სასამართლოს, მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოს, მოსამართლისთვის დაკისრებული რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05-2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ეკა ზარნაძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	16	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	89	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 29. 05. 21

ზარნაძე ეკა

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ეკა ზარნაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის კუთხით** შეფასებისას აღსანიშნავია კანდიდატის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ოქმში მოცემული რეკომენდატორებისა და რესპოდენტების მოსაზრებები, რომელთა მიხედვით, რესპონდენტები და რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის ისეთ თვისებებს, როგორიცაა კომპეტენტურობა, სამართლიანობა, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და ა.შ.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი პრინციპული და მიუკერძოებელია, გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისათვის საჭირო პიროვნული და პროფესიული უნარები, იგი კეთილსინდისიერი ადამიანი და

		შრომისმოყვარე პროფესიონალია. შემაჯამებელი ინფორმაციის თანახმად, ეკა ზარნაძე არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი და შემომწირველი. **პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით** შეფასებისას გათვალისწინებული იქნა მისი როგორც მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, იგი თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული პიროვნებაა. კოლეგებს და სასამართლო პროცესის მონაწილეებს ეპყრობა თავაზიანად. მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით. რაც შეეხება ქცევას მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ეკა ზარნაძის მიმართ დისციპლინური დევნა დაიწყო დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე ერთ საქმეზე: მოსამართლეს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით შეწყდა დისციპლინური დევნა. კანდიდატი მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის კუთხით შეფასებისას** გათვალისწინებული იქნა ისეთი გარემოებები, როგორიცაა მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში., ეკა ზარნაძე სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პარალელურად ეწევა აკადემიურ და პედაგოგიურ საქმიანობას, მოსამართლე კოლეგებში სარგებლობს გაწონასწორებული ადამიანისა და მაღალკვალიფიციური იურისტის

			სახელით. მას ახასიათებენ განათლებულ პიროვნებად, პრინციპულ და გულმოდგინე პროფესიონალად სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას. **ფინანსური ვალდებულებების კუთხით** შეფასებისას აღსანიშნავია, რომ ეკა ზარნაძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, არ აქვს მიმდინარე სესხი, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მახასიათებლების შეჯერებისა და გაანალიზებით შედეგად მივიჩნევ, რომ ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**16**	**20**	**სამართლის ნორმების ცოდნის** მახასიათებლით შეფასებისას უნდა აღინიშნოს კანდიდატის ცოდნის მაღალი დონე მატერიალური და საპროცესო ნორმებისა, ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლისა. ეკა ზარნაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. გასაუბრებისას ეკა ზარნაძე შეკითხვებს ძირითად პასუხობდა სწორად და სიღრმისეულად, თუმცა გამოვლინდა გარკვეული ხარვეზებიც კონკრეტული სამართლებრივი საკითხის შეფასების დროს. ასევე ეკა

			ზარნაძეს არ გააჩნია სიღრმისეული ცოდნა სისხლის სამართლის მიმართულებით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20	**სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის შეფასების კუთხით** გათვალისწინებული იქნა მის მიერ წარმოდგენილი ორი სასამართლო გადაწყვეტილება და უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილებები დამაჯერებლად დასაბუთებულია. მოსამართლეს ყურადღების მიღმა (ანუ განუხილველად) არ აქვს მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და თანმდევი მტკიცებულებები. ფაქტობრივ გარემოებებს ადექვატური სამართლებრივი შეფასება (კვალიფიკაცია) აქვს მიცემული. გადაწყვეტილებები ეფუძნება სამართლის არსებითად სწორ აღქმას. მოსამართლე საკუთარ პოზიციას ასაბუთებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით გამართულად. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტული სამართლებრივი საკითხი გადმოცემულია ზედმეტად ლაკონურად.
წერის უნარი	16	20	**წერის უნარის კუთხით შეფასებისას** მის მიერ გამოტანილ და კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილ გადაწყვეტილებებთან ერთად გაანალიზებული იქნა მის მიერ წარმოდგენილი ორი სამეცნიერო პუბლიკაცია, კერძოდ, სტატია და მოხსენება და უნდა ითქვას, რომ ეკა ზარნაძე საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ენობრივი (გრამატიკული) და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად, მისი წერილობითი მსჯელობა ძირითადად ლაკონური და ლოგიკურია. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არც ისე იშვიათად იყენებს რთულ წინადადებებს, რაც რთულად აღსაქმელია.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	**ზეპირი კომუნიკაციის კუთხით შეფასებისას** უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი მეტყველებს გარკვევით და მშვიდად, სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს გადმოსცემს ადექვატურად. აქვს სხვისი აზრის, მათ შორის განსხვავებული აზრის მოთმინებით და ყურადღებით მოსმენის უნარიც. მის მიერ გამოთქმული ზეპირი მოსაზრებები არის ადვილად აღსაქმელი. მეტყველებს გამართულად, აქვს სამართლის ნორმათა გამართულად გადმოცემის უნარი, არის ღია სხვათა მოსაზრებების, მათ შორის განსხვავებული მოსაზრებების მიმართ.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	**პროფესიული თვისებების, მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის კუთხით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატი როგორც მოქმედი მოსამართლე სასამართლო პროცესს წარმართავს თავდაჯერებულად, მშვიდად და სამოსამართლო ეთიკის ნორმების სრული დაცვით. მხარეებს აძლევს მათი მოსაზრებების გამოთქმის თანაბარ შესაძლებლობებს, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ზედმიწევნით იცავს სხვადასხვა საპროცესო ეტაპისათვის დაწესებულ საპროცესო სპეციფიკას, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას აქვს მოსამართლის შესაფერისი იერსახე. ვადების დაცვის მხრივ: საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით 95,5%; ვადის დარღვევით 4,5%. - გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით 100%. - გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა:

			უცვლელი 96,2%; შეცვლილი 23,8%. - საანგარიშო პერიოდში (958 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 842 საქმე, დღეში საშუალოდ 1 საქმემდე.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	**აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კუთხით** ეკა ზარნაძე სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პარალელურად ეწევა აკადემიურ და პედაგოგიურ საქმიანობას, ატარებს სალექციო კურსს სხვადასხვა უნივერსიტეტებში და არის არაერთი სამეცნიერო სტატიის და ნაშრომის ავტორი. ასევე კანდიდატი განაცხადში უთითებს, რომ 2005-2008 წლებში იყო ჟურნალ ქართული სამართლის მიმოხილვის - Georgian Law Review - სარედაქციო კოლეგიის წევრი. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ პროფესიული და თეორიული საქმიანობის შეთავსება თავისთავად მოწმობს იმას, რომ მოსამართლე დიდ ძალისხმევას ახმარს პროფესიულ თვითგანვითარებას.
პროფესიული აქტივობა	5	5	**პროფესიული აქტივობის კუთხით** მას მონაწილეობა აქვს მიღებული სამართლებრივი სისტემებისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებსა და სემინარებში. (ჩამონათვალი იხილეთ კანდიდატის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში.) არის ღია სიახლეების მიმართ. კანდიდატს კონკურსის ფარგლებში გადაწყვეტილებებთან ერთად წარმოდგენილი აქვს ორი სამეცნიერო პუბლიკაცია, კერძოდ: - არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო

			კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები. - „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის ინსტიტუტის ნორმათა უნიფიცირება და ჟენევის კონვენცია ფასიანი ქაღალდების შესახებ“, ბესარიონ ზოიძე 60 - საიუბილეო კრებული/ რედ. ლადო ჭანტურია, ირაკლი ბურდული; თბილისი, 2014 წ.
ქულათა ჯამი	89	100	

სახელი გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი : 29.05.21

ხელმოწერა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ---ეკა ზარნაძის--- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	16	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ეკა ზარნაძის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. რეკომენდატორები ეკა ზარნაძეს ახასიათებენ როგორც პატიოსან, კეთილსინდისიერ და მაღალი პროფესიული სინდისის მქონე პიროვნებას, რომელიც სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება თავის პროფესიულ თუ სხვა ვალდებულებებს. ერთ-ერთი რეკომენდატორის შეფასებით, კანდიდატს ბოლომდე აქვს გააზრებული მოსამართლის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში.

ეკა ზარნაძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატს სრულად და დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ეკა ზარნაძე ობიექტური, სამართლიანი და მიუკერძოებელი პიროვნებაა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

აღსანიშნავია, რომ ეკა ზარნაძე არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, ეკა ზარნაძე როგორც კოლეგებთან, ისე სასამართლოს

აპარატის თანამშრომლებთან თუ პროცესის მონაწილე სუბიექტებთან ურთიერთობისას გამოირჩევა კორექტული და ეთიკური ქცევით. იგი არის თავდაჭერილი ადამიანი, რომელსაც აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატი გამოირჩეოდა თავდაჭერილობით, კორექტულობითა და თავაზიანობით.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ ეკა ზარნაძის მიმართ არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა. ასევე, იგი არ ყოფილა წარმოდგენილი მხარედ ან დაზარალებულად.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ეკა ზარნაძეს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად. კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სარგებლობს პატივისცემით როგორც სასამართლო აპარატსა და კოლეგებში, ასევე, ზოგადად იურიდიულ წრეებში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ეკა ზარნაძე ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რაც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: ეკა ზარნაძემ საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო სამართლის ცოდნა. გასაუბრების პროცესზე კანდიდატმა საკმაოდ ვრცლად ისაუბრა გამოხატვის თავისუფლების ასპექტებზე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების სპეციფიკაზე და სხვ.

კანდიდატმა განმარტა, თუ რა შემთხვევაშია სასამართლო ვალდებული მიმართოს ყველა საშუალებას მხარეთა პროცესში ჩასაბმელად და მოიყვანა საქართველოს წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. კანდიდატმა გამოყო არასრულწლოვნის მონაწილეობით წარმოებული დავები, რომელთა შემთხვევაში სასამართლო განსაკუთრებული სიფაქიზით უნდა მიუდგეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების საკითხს. კანდიდატმა ისაუბრა შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში მოსამართლის მიერ ინკვიზიციური ელემენტების გამოყენების შესაძლებლობასა და ვალდებულებაზეც. მაგალითისთვის მოიყვანა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება, საოჯახო, განსაკუთრებით კი საალიმენტო დავები, რომლის მარეგულირებელი ნორმები კონკრეტიკით არ გამოირჩევა.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს, რასაც მიუთითებენ კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირებიც. კანდიდატმა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე მსჯელობისას გამოავლინა როგორც მატერიალური და პროცესუალური სამართლის, ასევე ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების ცოდნის შესაბამისი დონე.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. სასამართლო გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება.

აღსანიშნავაი, რომ ეკა ზარნაძის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი შეადგენს 96.2%-ს.

საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე საუბრისას გამოავლინა არგუმენტირებული მსჯელობის, სამართლებრივი დასაბუთებისა და აზრის ლოგიკურად ფორმირების უნარი. სამართლებრივი საკითხების განხილვისას კანდიდატი ხელმძღვანელობდა არა მხოლოდ სამართლებრივი ნორმებით, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით, საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკით. ნაკლოვანებად მიმაჩნია

ის, რომ ზოგ შემთხვევაში კანდიდატის პასუხები კითხვებზე იყო ზოგადი, ვრცელი და არა ნათლად გამოკვეთილი, დასაბუთებული, პრობლემაზე ორიენტირებული.

ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ ეკა ზარნაძის გადაწყვეტილებები გამოირჩევა ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებით, რასაც ხელს უწყობს კანდიდატის სამეცნიერო საქმიანობა და უახლესი იურიდიული კვლევების ცოდნა. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს მოსამართლედ მუშაობის 13-წლიანი, ხოლო პროფესიით მუშაობის 24-წლიანი გამოცდილება აქვს.

წერის უნარი: ეკა ზარნაძემ წარმოადგინა ოთხი სამართლებრივი დოკუმენტი, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებები და სამართლებრივი პუბლიკაციები, კერძოდ: „არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები“ და „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის ინსტიტუტის ნორმათა უნიფიცირება და ჟენევის კონვენცია ფასიანი ქაღალდების შესახებ“. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ ეკა ზარნაძე აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტებს არ ტვირთავს არამიზნობრივი და შაბლონური მსჯელობით. კანდიდატს აქვს აკადემიური წერის მანერა, წერის პროცესში ავლენს მსჯელობის ლოგიკურად გადმოცემის უნარს.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციის, გამართულად და აკადემიურად მეტყველების უნარი. კანდიდატს შეუძლია სხვისი განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენა. იგი საუბრობს მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოცემს ნათლად და მკაფიოდ, რასაც სრულად ადასტურებენ კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები ეკა ზარნაძეს ახასიათებენ შრომისმოყვარე, პუნქტუალურ, მიზანდასახულ პიროვნებად, რომელსაც შეუძლია ეფექტიანად დაგეგმოს თავისი სამუშაო განრიგი, სათანადოდ წარმართოს სხდომის მდივნისა და თანაშემწის საქმიანობა, მართოს საქმეთა ნაკადი. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ ეკა ზარნაძე გამოირჩევა თავდაჯერებულობით სასამართლოს სხდომის წარმართვის დროს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ეკა ზარნაძეს საანგარიშო პერიოდში (958 დღე) დასრულებული აქვს 842 საქმე, დღეში საშუალოდ 1 საქმემდე.

ამასთან, კანდიდატის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქმეთა განხილვის მაჩვენებელი 95,5%-ს, ხოლო გადაწყვეტილების მომზადების მაჩვენებელი 100%-ს აღწევს, რაც მიუთითებს კანდიდატის შრომისმოყვარეობასა და დროის სწორად განაწილების უნარზე.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული 20-ზე მეტ სემინარში სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე, მათ შორის ბავშვთა უფლებების, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებების, სამოქალაქო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილების აღსრულების, კრედიტის უზრუნველყოფის, საავტორო და სავაჭრო სამართლის, გადახდისუუნარობის შესახებ და სხვ.

ეკა ზარნაძეს მინიჭებული აქვს სამართლის დოქტორის ხარისხი.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ეკა ზარნაძე ეწევა აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას რამდენიმე უნივერსიტეტსა და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

ეკა ზარნაძეს გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო სტატია. კანდიდატი არის ავტორი (თანაავტორი) წიგნებისა: „მემკვიდრეობის სამართალი", „სასამართლო პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში", „სავარჯიშოები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილსა და სანივთო სამართალში". ასევე, მომზადების პროცესშია „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი", სადაც კანდიდატი არის 911-929-ე მუხლების კომენტარების ავტორი.

აღსანიშნავია, რომ ეკა ზარნაძე 2005-2008 წლებში იყო ჟურნალ „ქართული სამართლის მიმოხილვის" (Georgian Law Review) სარედაქციო კოლეგიის წევრი.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 90 ქულით, კერძოდ:
   2.1. სამართლის ნორმების ცოდნა - 17 ქულა;
   2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 16 ქულა;
   2.3. წერის უნარი - 17 ქულა:
   2.4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;

2.5. პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა;

2.6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;

2.7. პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ეკა ზარნაძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	16	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: დიმიტრი გვრიტიშვილი

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
დიმიტრი გვრიტიშვილი

2021 წლის 28 მაისი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ეკა ზარნაძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - ეკა ზარნაძეც. საბჭოს 2021 წლის 5 აპრილის №1/26 განკარგულებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2021 წლის 1 აპრილის ორგანული კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, დადგინდა, რომ ამ პროცედურის ფარგლებში 2021 წლის 6-12 აპრილის პერიოდში მიღებული იქნებოდა დამატებითი განცხადებები. შედეგად, საბჭოს 2021 წლის 15 აპრილის განკარგულებით, ამ პროცედურაში დარეგისტრირდა 2 ახალი კანდიდატი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. კანდიდატების საჯარო მოსმენა დაიწყო 2020 წლის 10 დეკემბერს; უშუალოდ ეკა ზარნაძის საჯარო მოსმენა გაიმართა 2020 წლის 22 დეკემბერს, სადაც მივიღე მონაწილეობა და, საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, ვისარგებლე კანდიდატისათვის შეკითხვების დასმის უფლებით.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით; იმისდა

მიხედვით, კანდიდატს გააჩნია თუ არა სამოსამართლო გამოცდილება, შეფასების წესი განსხვავებულია.

ვინაიდან ეკა ზარნაძე მოქმედი მოსამართლეა, მისი შეფასება განვახორციელე ორგანული 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით სამოსამართლო გამოცილების მქონე კანდიდატის შეფასებისათვის განსაზღვრული წესით, კერძოდ:

1.5.1. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36[3] მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ცალსახაა კანონმდებლის ნება, რომ შეფასება დაეფუძნოს მონაცემთა ანალიზსა და შეჯერებას; ამდენად, დასკვნა „სრულად აკმაყოფილებს" უნდა გაკეთდეს მხოლოდ მაშინ, თუ კანდიდატი მახასიათებლისათვის კანონით განსაზღვრული ყველა კომპონენტის მიხედვით დადებითად ფასდება; თუ კომპონენტებიდან რომელიმეს მიმართ შეფასება უარყოფითია, უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ კანდიდატი „აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ ორი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდება უარყოფითი, უნდა ჩაითვალოს, რომ კანდიდატი „არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.5.2. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. *საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:*

2.1.1. ეკა ზარნაძე 46 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის დოქტორი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 24 წელია, აქედან - სამოსამართლო საქმიანობას ახორციელებს 13 წელზე მეტია, კერძოდ:

2007-2011 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. 2008-2009 წლებში მივლინების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა მცხეთის რაიონულ სასამართლოში. 2009-2013 წლებში მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა გორის რაიონულ სასამართლოში. 2012-2013 წლებში იყო გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. 2013-2020 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2020 წლის ივლისიდან დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე, საპენსიო ასაკს მიღწევამდე.

2.1.2. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კომპეტენტურობას, სამართლიანობას, დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა და ა.შ.

გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად, ხოლო ერთ-ერთი რესპოდენტი მის პირად თვისებებს იცნობს საშუალოდ. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

2.1.3. ეკა ზარნაძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ პროფესიულ ღონისძიებებში:

ხელმოწერა:

- ბავშვთა უფლებები - სემინარი;
- სამოსამართლო ქცევა და ეთიკა - სემინარი;
- მოწმისა და დაზარალებულის უფლებები და მათი დაცვის სამართლებრივი გარანტიები - სემინარი;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - სემინარი;
- სასამართლო პროცესზე კომუნიკაციის სტანდარტები - სემინარი;
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებები - სემინარი;
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია - სემინარი;
- პირველი ინსტანციის სასამართლოს სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილების წერის ტექნიკა - სემინარი;
- ლიზინგი სამართლებრივ ასპექტში - სემინარი;
- საქმის წარმოების პროგრამა - სემინარი;
- სამოქალაქო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილების აღსრულება - სემინარი.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებები - სემინარი;
- კრედიტის უზრუნველყოფა - სემინარი;
- საავტორო და სავაჭრო სამართალი - სემინარი;
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პრობლემატური საკითხები - სემინარი;
- გადახდისუუნარობა - სემინარი;
- მტკიცებულებათა შეფასება სამოქალაქო პროცესში - სემინარი;
- სამუშაო ტექნიკა სამოქალაქო პროცესში, გადაწყვეტილების ჩამოყალიბება, აგებულება, დასაბუთება - სემინარი;
- ცალკეული კატეგორიის დავების განხილვის თავისებურებანი - სემინარი;
- გერმანიის სამოქალაქო და კომერციული სამართალი, სასამართლო პრაქტიკა - სემინარი, გერმანია.

2.1.4. კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:

1997 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (ასოცირებული პროფესორი, მოწვეული ლექტორი). 2019-2020 სასწავლო წლის სალექციო კურსი: ფასიანი ქაღალდების სამართალი.

- 2012 წლიდან მუშაობს საქართველოს უნივერსიტეტში და ამჟამად იკავებს სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას. 2019-2020 სასწავლო წლის სალექციო კურსი: საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი და სასამართლო პრაქტიკა.

- 2014 წლიდან აკადემიურ საქმიანობას ეწევა ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში (ასოცირებული პროფესორი, პროფესორი).

- პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა სსიპ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში 2014 წლიდან. 2020 წელს უძღვებოდა სკოლის მსმენელთა სალექციო კურსს „კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ" და სემინარს მოსამართლეთათვის „ბავშვის უფლებათა კოდექსი".

2.1.5. ეკა ზარნაძე არის ავტორი/თანაავტორი შემდეგი სამართლებრივი წიგნების/სტატიების:

- „ფასიანი ქაღალდების ცნება და კლასიფიკაცია", პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული. რედ. რომან შენგელია, 2004 წ.
- „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის

ზოგიერთი თავისებურება", ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა - Georgian Law Review, 10N1, 2007 წ.

- „საორდერო ფასიანი ქაღალდი და მისი სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი ასპექტები", ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N11, 2011 წ.

- „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის ინსტიტუტის ნორმათა უნიფიცირება და ჟენევის კონვენცია ფასიანი ქაღალდების შესახებ", ბესარიონ ზოიძე 60 - საიუბილეო კრებული/ რედ. ლადო ჭანტურია, ირაკლი ბურდული; თბილისი, 2014 წ.

- „მემკვიდრეობის სამართალი".

- „სასამართლო პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში". რედაქტორი: გიორგი ხუბუა, თანაავტორები: ლალი ლაზარაშვილი, თენგიზ ლილუაშვილი, პაატა ლობჟანიძე, 2003 წ.

- „სავარჯიშოები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილსა და სანივთო სამართალში". თანაავტორები: ბესარიონ ზოიძე, ლადო ჭანტურია, თამარ ზარანდია, ლალი ლაზარაშვილი, თამარ ლაკერბაია, ქეთევან ქოჩაშვილი, სერგი ჯორბენაძე; თბილისი, 2014 წ.

- გამოცემისათვის მომზადების პროცესშია „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი", სადაც ის არის ავტორი 911-929-ე მუხლების კომენტარებისა.

2005-2008 წლებში კანდიდატი იყო ჟურნალ ქართული სამართლის მიმოხილვის - Georgian Law Review - სარედაქციო კოლეგიის წევრი.

2.1.6. ეკა ზარნაძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; არ აქვს მიმდინარე სესხი; აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატის სახელზე უძრავი ქონება რეგისტრირებული არ არის. მის საკუთრებაშია მსუბუქი ავტომანქანა. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

2.1.7. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ეკა ზარნაძე რამდენჯერმე დაჯარიმდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად.

მის მიმართ დისციპლინური დევნა განხორციელდა 1 საქმეზე, რომელიც საბოლოოდ, საბჭოს გადაწყვეტილებით, შეწყდა.

კანდიდატი რაიმე საქმეში მხარედ/დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა.

კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი.

2.1.8. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილი 2 გადაწყვეტილება, აგრეთვე პუბლიკაციები:

- არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები.

- „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის ინსტიტუტის ნორმათა უნიფიცირება და ჟენევის კონვენცია ფასიანი ქაღალდების შესახებ", ბესარიონ ზოიძე 60 - საიუბილეო კრებული/რედ. ლადო ჭანტურია, ირაკლი ბურდული; თბილისი, 2014 წ.

მათი შესწავლით დავადგინე, რომ ეკა ზარნაძე ზოგჯერ სათანადოდ არ იყენებს სასვენ ნიშნებს, ასევე - ხშირადაა გამოყენებული რთული თანწყობილი/ქვეწყობილი წინადადებები, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას გარკვეულწილად აფერხებს.

2.1.9. კანდიდატის, როგორც მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შესახებ:

ხელმოწერა:

2017 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ნოემბრამდე, საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით 95.5%; ვადის დარღვევით 4,5%. - გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით 100%. - გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი 96.2%; შეცვლილი 3.8%. - საანგარიშო პერიოდში (958 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 842 საქმე, დღეში საშუალოდ 1 საქმემდე.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

2.2.1. ეკა ზარნაძის საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია (იხ: https://www.youtube.com/watch?v=2twqnHz--iQ). მას საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. მისი პასუხები, ძირითადად, თანმიმდევრულ, დასაბუთებულ და სწორ სამართლებრივ შეფასებებს ეყრდნობოდა; თუმცა, იყო შეცდომები და ხარვეზები პასუხების დაახლოებით 20% შემთხვევაში (მაგ: კანდიდატმა მიუთითა, რომ ერთი პირის გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციით შეიძლება შეილახოს მეორე ადამიანის ღირსება; ვერ გამოავლინა ბავშვის უფლებათა კოდექსის დებულებათა სიღრმისეული ცოდნა და სხვ).

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. ეკა ზარნაძის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

3.1.1. კანდიდატი, როგორც მოსამართლე და მოქალაქე, არის პატიოსანი, კეთილსინდისიერი, აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, არის სიმართლისმოყვარე; არის კორექტული და ზუსტი სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და ა.შ.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.

3.1.2. კანდიდატი არის პრინციპული, სამართლიანი, მიუკერძოებელი, პიროვნულად მყარი და შეუვალი, რის გამოც გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების და ზეგავლენის მიმართ მედეგობის უნარები.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ,,დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.

3.1.3. კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკას, კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, არის თავდაჭერილი; აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. არ არსებობს ინფორმაცია, რომ ეკა ზარნაძის ქცევა მის მიმართ მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოებისას შეუსაბამო იყო მისი მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის. ამიტომ, დავრწმუნდი, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის

ხელმოწერა: 32/11 7.

ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

3.1.4. კანდიდატს აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია/ავტორიტეტი, მისი ურთიერთობის ხასიათი იურიდიულ წრეებთან სრულ შესაბამისობაშია მოსამართლის სტატუსთან; ამ დასკვნის გამაქარწყლებელი ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

3.1.5. კანდიდატის შემოსავლის წყაროს და ოდენობის, აქტივების, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ,,ფინანსური ვალდებულების" მახასიათებელს.

3.2. ვინაიდან კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5-ვე მახასიათებლის მიმართ შევაფასე სრულად დადებითად, საბოლოოდ დავასკვენი, რომ ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. ეკა ზარნაძის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. ზემოთ, 2.2.2 პუნქტში აღწერილი შეცდომების/ხარვეზების შემთხვევების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ძირითადად, კარგად იცნობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობებს, ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

შესაბამისად, ეკა ზარნაძე, ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ,,სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით, შევაფასე 16 ქულით (ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 80%).

4.1.2. კანდიდატს, ძირითადად, გააჩნია ანალიტიკური აზროვნების, საკუთარი მოსაზრების კარგად დასაბუთების უნარი, რაც ამ მოსაზრებას დამაჯერებლობასაც ანიჭებს. მას ასევე გააჩნია მოსამართლედ მუშაობის დიდი გამოცდილება.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ეკა ზარნაძე ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 18 ქულით (ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 90%).

ხელმოწერა:

4.1.3. ზემოთ, 2.1.8 პუნქტში აღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატს, ძირითადად, გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

შესაბამისად, ეკა ზარნაძე ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული ,,წერის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 16 ქულით (ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 80%).

4.1.4. კანდიდატს გააჩნია გამართული მეტყველების, სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებული აზრის) მოთმინებით მოსმენის და ღიაობის სათანადო უნარები.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ეკა ზარნაძე ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული ,,ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური - 15 ქულით.

4.1.5. კანდიდატი პუნქტუალურია, საქმეებს ამზადებს ჯეროვნად და პასუხისმგებლობით, სასამართლო სხდომას წარმართავს სათანადოდ, მხარეებთან მისი კომუნიკაცია შეესაბამება მოსამართლის მაღალ სტატუსს; გულმოდგინე, მიზანდასახული და შრომისმოყვარეა, გადაწყვეტილებას იღებს დაუხმარებლად და აქვს დამოუკიდებელი აზროვნების კარგი უნარი. გააჩნია სათანადო მენეჯერული უნარები, სტრესულ სიტუაციებს უმკლავდება კარგად, რაც აისახება მის პროდუქტიულობაზე და ხელს უწყობს მის მიერ საპროცესო ვადების დაცვას.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ეკა ზარნაძე ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - ,,პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში" - მიხედვით უნდა შეფასდეს ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური - 15 ქულით.

4.1.6. კანდიდატი სიახლეების მიმართ ღიაა, აქვს თვითგანვითარების უნარი, შესაბამისი საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, რისთვისაც ხშირად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, ხოლო შეძენილ ცოდნას და უნარებს წარმატებით იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ეკა ზარნაძე ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული ,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური - 5 ქულით.

4.1.7. კანდიდატი ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად, იჩენს ინიციატივას და აქვს იდეების/წინადადებების წამოყენების უნარი.

ასევე აღსანიშნავია, რომ ეკა ზარნაძე ახორციელებს პედაგოგიურ/სამეცნიერო საქმიანობასაც.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ეკა ზარნაძე ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული ,,პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური - 5 ქულით.

4.1.8. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, ეკა ზარნაძეს ვანიჭებ 90 ქულას.

ხელმოწერა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ეკა ზარნაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	94	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი

თარიღი: 27.05.2021 წ.

ეკა ზარნაძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის კორექტული და თავშეკავებული. ის პასუხისმგებლობით ეკიდება მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. კანდიდატი სარგებლობს კარგი რეპუტაციით კოლეგებს შორის. კანდიდატის მიმართ დაწყებული იყო დისციპლინური დევნა, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეწყდა. კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	კანდიდატი კარგად ფლობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმებს. ასევე, კარგია კანდიდატის ცოდნის დონე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სფეროში, მათ შორის, ადამიანის

			უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმართულებით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატს აქვს კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი. ამასთან, ის მსჯელობს არგუმენტირებულად და დამაჯერებლად. მას აქვს სათანადო პროფესიული გამოცდილება.
წერის უნარი	19	20	კანდიდატს აქვს ლოგიკური მსჯელობის უნარი. თავის მოსაზრებებს ის გადმოსცემს მარტივი და გასაგები ენით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	კანდიდატი არის თავშეკავებული და მას შესწევს უნარი მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრება. კანდიდატს გააჩნია დამაჯერებელი, თანმიმდევრული და გასაგები ენით მეტყველების უნარი. კანდიდატის საუბარში ზოგჯერ იგრძნობოდა გასაუბრებით გამოწვეული მღელვარება.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	კანდიდატი არის პუნქტუალური. ის პასუხისმგებლობით უდგება მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს. ის არის თავდაჭერილი და პატივისცემით ეპყრობა თანამოსაუბრეს. კანდიდატის პროდუქტიულობაზე კი მეტყველებს მის მიერ საპროცესო ვადების სრული დაცვა.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	კანდიდატი სიახლეების მიმართ არის ღია, აქვს თვითგანვითარების უნარი და სურვილი. საკმაოდ აქტიურად ესწრება ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ შეხვედრებს.
პროფესიული აქტივობა	5	5	კანდიდატი ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. ის არის არაერთი სამართლებრივი სტატიისა და წიგნის ავტორი და თანაავტორი.
ქულათა ჯამი	**94**	**100**	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის		

	კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, ეკა ზარნაძის, შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** ეკა ზარნაძეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატი თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. მას არ უფიქსირდება რაიმე სახის ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულება. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელები დაფარული აქვს დროულად, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში. კანდიდატი არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ ეკა ზარნაძეს სათანადოდ აქვს შეგნებული თავისი პასუხისმგებლობა და თავის ვალდებულებებს ასრულებს კეთილსინდისიერად. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** კანდიდატი არის დამოუკიდებელი, სამართლიანი და პრინციპული. მას შესწევს უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები. ზემოაღნიშნულს, ასევე ადასტურებენ კანდიდატის გამოკითხული კოლეგები და რეკომენდატორები. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე გამოირკვა, რომ ეკა ზარნაძე არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან,

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ეკა ზარნაძე არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.

<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>

ეკა ზარნაძეს სათანადოდ აქვს გააზრებული მისი, როგორც მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა. მისი ქცევა, იმიჯი, ასევე კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობა ეჭვგარეშე შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. კანდიდატმა გამოავლინა ემოციების მართვის კარგი უნარი, ის არის გაწონასწორებული, თავაზიანი, თავდაჭერილი და კორექტული.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ეკა ზარნაძის მიმართ დისციპლინური დევნა დაიწყო დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე ერთ საქმეზე: მოსამართლეს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით მის მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მხარედ ანდა დაზარალებულად არ წარმოდგენილა. ასევე, არ დგინდება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობის ფაქტი.

<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>

ეკა ზარნაძეს აქვს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კოლეგებს შორის. გამოკითხული რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად. ისინი გამოარჩევენ კანდიდატის კომპეტენტურობას, სამართლიანობას, დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა და ა.შ.. ამასთან, გამოკითხულ რესპოდენტებს მიაჩნიათ, რომ კანდიდატს არ ახასიათებს რაიმე სახის სისუსტე ან ნაკლოვანება.

<u>ფინანსური ვალდებულება</u>

როგორც უკვე აღინიშნა, ეკა ზარნაძე სათანადო პასუხისმგებლობით, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. ამდენად, მიმაჩნია, რომ აღნიშნული გამორიცხავს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების

ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვის გაჩენის საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, ეკა ზარნაძე <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u>

<u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმების**</u> მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

- *სამართლის ნორმების ცოდნა;*
- *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
- *წერის უნარი;*
- *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
- *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
- *პროფესიული აქტივობა.*

<u>**სამართლის ნორმების ცოდნა**</u>

გასაუბრების მსვლელობისას კანდიდატს დაესვა არაერთი სამართლებრივი თუ ზოგადი ხასიათის შეკითხვა. ის ცდილობდა მაქსიმალურად განვრცობილად და დეტალურად, სხვადასხვა კუთხით განეხილა და შეეფასებინა მისთვის დასმული საკითხები. თუმცა, ამგავრი განვრცობისა და შეფასების შედეგად, ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული დროით კანდიდატი სცილდებოდა სამსჯელო საკითხს.

გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ კანდიდატი კარგად ფლობს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმებს და ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს. ამასთან, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა, რომ ის საკმაოდ აქტიურად და საფუძვლიანად ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

	გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა, რომ ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს, მაგალითად, მან ამომწურავად იმსჯელა ბავშვის უფლებათა კოდექსთან დაკავშირებით. კანდიდატისათვის დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის კითხვებზე მსჯელობის შედეგად მან დამაკმაყოფილებლად ანდა სრულად ამოწურა საკითხთა სრული რაოდენობის დაახლოებით 91%. **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>** კანდიდატს აქვს კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი. ამასთან, ის მსჯელობს არგუმენტირებულად და დამაჯერებლად. მას აქვს ხანგრძლივი (24-წლიანი) პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს 13-წლიან სამოსამართლო გამოცდილებას. თავის გამოცდილებასა და ცოდნას კანდიდატი იყენებს სამართლებრივ ნაშრომებსა და გადაწყვეტილებებში. მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები არის სათანადოდ დასაბუთებული და დამაჯერებელი. ამასთან, მხარეთათვის გასაგები. მიმაჩნია, რომ კანდიდატს აქვს თავისი გამოცდილების შესაბამისი კომპეტენცია. **<u>წერის უნარი</u>** კანდიდატს აქვს ლოგიკური მსჯელობის უნარი. თავის მოსაზრებებს ის გადმოსცემს მარტივი და გასაგები ენით. თავის პოზიციას კანდიდატი სათანადოდ ასაბუთებს, რაც მას ანიჭებს დამაჯერებლობას. გადაწყვეტილებებში ფაქტობრივი გარემოებების აღწერისა და გადაწყვეტილებების დასაბუთებისას აზრს გადმოსცემს თანმიმდევრულად და გარკვევით. **<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>** კანდიდატი საუბრობს გამართულად, მშვიდად და თანმიმდევრულად. აზრს გადმოსცემს გასაგებად და დამაჯერებლად. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა ემოციების მართვის კარგი უნარი, მას შეუძლია მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრება. **<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში</u>** ეკა ზარნაძე არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე და მიზანდასახული, რაც დასტურდება როგორც მოიძიებული ინფორმაციით, ისე გამოკითხული კოლეგების დახასიათებების შესწავლის შედეგად.

	კანდიდატი სათანადო პასუხისმგებლობითა და ორგანიზებულობით ეკიდება განსახილველ საქმეებს. მის პროდუქტიულობას ეფექტიანობასა და სისწრაფეს ადასტურებს კანდიდატის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაღალი მაჩვენებელი (95,5%, 100%). **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>** კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი და ის ღია არის სიახლეების მიმართ. აღნიშნულ თვისებებზე მეტყველებს კანდიდატის მიერ საკმაოდ აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ სასწავლო ტრენინგსა და სემინარში. ასევე, საკანონმდებლო სიახლეებისა და ეროვნული თუ საერთაშორისო პრაქტიკის კარგი ცოდნა. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** კანდიდატი ეწევა სამეცნიერო და აკადემიურ საქმიანობას. ის არის არაერთი სამართლებრივი სტატიისა და წიგნის ავტორი და თანაავტორი. მას მიჰყავს არაერთი სალექციო კურსი სხვადასხვა უნივერსიტეტში. ამასთან, ის უძღვება სალექციო კურსს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ეკა ზარნაძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი: თეა ლეონიძე

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

ეკა ზარნაძის

შეფასების დასაბუთება

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1], 36[3], 36[4] მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე განვახორციელე კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების მახასიათებლის და კომპეტენტურობის მახასიათებლის გათვალისწინებით. ჩემი შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებულ ინფორმაციას, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

ზოგადი ინფორმაცია კანდიდატზე: ეკა ზარნაძე - დაბადებული: 1974 წლის 21 ივლისს, უმაღლესი იურიდიული განათლებით, მინიჭებული აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, სამართლის დოქტორი (თსუ), არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე, აქვს სპეციალობით მუშაობის გამოცდილება 24 წელი, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება 13 წელი.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის 15-ე ნაწილის თანახმად კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ამ მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები. ამ მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად ვიღებ ერთ-ერთ დასკვნას:

ა) მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

ბ) მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

გ) მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

1. **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მესამე პუნქტის თანახმად პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება პირის - როგორც მოსამართლისა და მოქალაქის - პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭირვალობა კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის

ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ კანდიდატ ეკა ზარნაძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული რამოდენიმე საგზაო მოძრაობის წესის დარღვევისათვის (პარკირების წესების დარღვევა, ამკრძალავი ნიშნის მოთხოვნის დუცველობა და სხვა), ყველა ჯარიმა გადახდილია დროულად. ეკა ზარნაძის მიმართ დაწყებული იყო დისციპლინური დევნა, რომელზეც 2018 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით შეწყდა. საანგარიშო პერიოდში საქმეების განხილვის საპროცესო ვადები ძირითადად დაცულია სრულიად, რაც მიუთითებს კანდიდატის დამოკიდებულებაზე მოვალეობების მიმართ. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის დამოუკიდებლობას და მიუკერძოებულობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოპოვებული მონაცემებით დგინდება, რომ კანდიდატი ეკა ზარნაძე არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან შემომწირველი. რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის მიუკერძოებლობის, სამართლიანობის და დამოუკიდებლობის შესახებ. შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

მონაცემების მიხედვით კანდიდატი ეკა ზარნაძე არ ყოფილა მხარედ ან დაზარალებულად წარმოდგენილი. მისი გარეგნული იერსახე სრულად შეესაბამება მოსამართლის მაღალ თანამდებობას. შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კომპეტენტურობას, ასევე არ მიუთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე. შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

5. ფინანსური ვალდებულება:

ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

კანდიდატ ეკა ზარნაძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, არ აქვს მიმდინარე სესხი. კანდიდატის სახელზე უძრავი ქონება რეგისტრირებული არ არის. მის საკუთრებაშია მსუბუქი ავტომანქანა. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით მივიჩნიე, რომ მოსამართლეობის კანდიდატი ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის 8-ე ნაწილის თანახმად კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლის მნიშვნელობიდან გამომდინარე თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა - 20 ქულა;

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 20 ქულა;

გ) წერის უნარი - 20 ქულა;

დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;

ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა;

ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;

ზ) პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

1. სამართლის ნორმების ცოდნა:

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. ამ მახასიათებლით მოსამართლის შეფასების მიზნით შემფასებელი ითვალისწინებს მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორეს. აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლის შესაფასებლად შემფასებელი აგრეთვე გამოითხოვს მოსამართლის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი ეკა ზარნაძე ფლობს სამოქალქო სამართლის ნორმებს.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N2/-16 (დავის საგანი - მშობლად აღიარება) და 2016 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N2/21127-15 (დავის საგანი - არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, მშობლის უფლების შეზღუდვა). მათი გაცნობის შედეგად გამოირკვა, რომ გადაწყვეტილებები სტილისტიურად აგებულია სწორად, გასაგებად. მხარეების მოთხოვნები და არგუმენტაცია გადმოცემულია სრულყოფილად. მოსამართლის მიერ სამოტივაციო ნაწილი დასაბუთებულია, შეფასებულია ყველა მნიშვნელოვანი მტკიცებულება. აღსანიშნავია კანდიდატის მრავალფეროვანი პრაქტიკული გამოცდილება, იყო მოსამართლის უფლებამოსილებას ასრულებდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, ამჟამად უფლებამოსილებას ასრულებს სააპელაციო სასამართლოში.

კანდიდატ ეკა ზარნაძის მიერ სამართლის ნორმების ცოდნის შესაფასებლად ასევე ვიხელმძღვანელე გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატის მიერ სამართლებრივ შეკითხვებზე გამოვლენილი ცოდნით, სტატისტიკური მონაცემებით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილებების სტაბილურობის თაობაზე, რაც შეადგენს - 96.2%;

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ეკა ზარნაძის სამართლის ნორმების ცოდნას ვაფასებ 18 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატ ეკა ზარნაძის სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის შეფასებისას ვიხელმძღვანელე მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებით, გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციით. გასაუბრებისას კანდიდატმა გამოვლინა სამოქლაქო სამართლის ნორმების ცოდნა ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ცოდნა. წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში მოყვანილი არგუმენტები არის დასაბუთებული, მტკიცებულებები შეფასებულია კანონის შესაბამისად, მოსამართლის მიერ მოყვანილი არგუმენტაცია არის დამაჯერებელი.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ეკა ზარნაძის სამართლებრივი დასაბუთების უნარს და კომპეტენციას ვაფასებ 18 ქულით.

3. წერის უნარი:

წერის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შემდეგ, ვასკვნი, რომ აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, სასვენი ნიშნები ძირითადად გამოყენებულია სწორად. გადაწყვეტილება სტრუქტურულად აგებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ეკა ზარნაძის წერის უნარს ვაფასებ 18 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი:

ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

კანდიდატმა ეკა ზარნაძემ საჯარო მოსმენის დროს გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, მეტყველებდა მშვიდად, გამართულად. აზრს გადმოსცემდა გასაგებად და დამაჯერებლად.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ეკა ზარნაძის ზეპირი კომუნიკაციის უნარს ვაფასებ 14 ქულით.

5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში:

პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

კანდიდატი საქმის განხილვის საპროცესო ვადებს ძირითადად იცავს სრულად, გადაწყვეტილების მომზადების ვადებს იცავს ზედმიწევნით, რაც ადასტურებს მის პროდუქტიულობას და სისწრაფეს.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ეკა ზარნაძის პროფესიულ თვისებებს, მათ შორის, ქცევას სასამართლო დარბაზში ვაფასებ 14 ქულით.

6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

კანდიდატ ეკა ზარნაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სასწავლო ტრენინგში: ბავშვთა უფლებები, სამოსამართლო ქცევა და ეთიკა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, სასამართლო პროცესზე კომუნიკაციის სტანდარტები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პრობლემატური საკითხები, ცალკეული კატეგორიის დავების განხილვის თავისებურებანი, გერმანიის სამოქალაქო და კომერციული სამართალი, სასამართლო პრაქტიკა - გერმანია და სხვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ეკა ზარნაძის აკადემიურ მიღწევებს და პროფესიულ წვრთნას ვაფასებ 5 ქულით.

7. პროფესიული აქტივობა:

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

კანდიდატი ეკა ზარნაძე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას კერძოდ, არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე - ასოცირებული პროფესორი, მოწვეული ლექტორი. საქართველოს უნივერსიტეტში ამჟამად იკავებს სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას. აკადემიურ საქმიანობას ეწევა ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში. ასევე იუსტიციის უმაღლეს სკოლაში უძღვება სემინარებს.

ეკა ზარნაძე არის ავტორი შემდეგი პუბლიკაციებისა: „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება", ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა - Georgian Law Review, 10N1, 2007 წელი; „საორდერო ფასიანი ქაღალდი და მისი სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი ასპექტები", ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N11, 2011 წელი; ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის ინსტიტუტის ნორმათა უნიფიცირება და ჟენევის კონვენცია ფასიანი ქაღალდების შესახებ", ბესარიონ ზოიძე 60 - საიუბილეო კრებული/ რედ. ლადო ჭანტურია, ირაკლი ბურდული; თბილისი, 2014 წელი და სხვა.

კანდიდატი არის სახელმძღვანელოს თანაავტორი: „სასამართლო პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში".2003 წელი, „სავარჯიშოები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილსა და სანივთო სამართალში" და სხვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ეკა ზარნაძის პროფესიულ აქტივობას ვაფასებ 5 ქულით.

კანდიდატის საბოლოო შეფასება:

კანდიდატ ეკა ზარნაძის კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 92 ქულას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს წევრი თეა ლეონიძე

თარიღი:28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ---------- *ეკა ზარნაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	95	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 27.05.21

ეკა ზარნაძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ეკა ზარნაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასება ეფუძნება სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას, კერძოდ: - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე; - სს „კრედიტინფო საქართველოს" მოწოდებული სრულ პერსონალურ საკრედიტო ინფორმაციას; - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებს კანდიდატის შემოსავლების შესახებ; - საჯარო სამსახურის ბიუროში კანდიდატის მიერ
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას; - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მონაცემებს შესაფასებელი მოსამართლის წინააღმდეგ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ; აგრეთვე, მხედველობაში მივიღე კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციები და კანდიდატთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან გამოთხოვილი (სპეციალური კითხვარის ფორმით შედგენილ) დახასიათებები. გარდა ამისა, ვეყრდნობი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით 2020 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს დაშვებული აქვს ჩვიდმეტი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118^1, 118^2, 125-ე მუხლის პირველი, მე-6, 6^2, მე-8 და

		მე-12 ნაწილებით, 125[2] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევები. შეფარდებული ჯარიმებს რვა შემთხვევაში, მინიჭებული აქვს სტატუსი ვადაგასულია, სამ შემთხვევაში შეფარდებული აქვს გაფრთხილება, ხოლო დანარჩენ ექვს შემთხვევაში შეფარდებული ჯარიმა გადახდილია დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. ზემოხსენებული მონაცემების, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, კანდიდატი გამოირჩევა პიროვნული, პროფესიული კეთილსინდისიერებით, პატიოსნებით და გააჩნია პასუხისმგებლობის გრძნობა. მას სრულად აქვს გააზრებული მოსამართლის როლი და მნიშვნელობა. ხელთარსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერების პროფესიული სინდისის მახასიათებელს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. ეკა ზარნაძე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ დახასიათებულია სამართლიან, და პიროვნულად მტკიცე ადამიანად, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების

		უნარით. რეკომენდატორები ასევე აღნიშნავენ, რომ ეკა ზარნაძე არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, იგი ობიექტურად და ყურადღებით აანალიზებს და აფასებს მის წინაშე არსებულ ნებისმიერ საკითხს, ფაქტსა და მტკიცებულებას. გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს დამოუკიდებლად ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი. 3. პიროვნული და პროფესიული ქცევა წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი გაწონასწორებული, თავდაჭერილი და თავაზიანი ადამიანია. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა თანმიმდევრულობას, გულახდილობას და კორექტულობას. კანდიდატის ქცევას, როგორც სასამართლოს შენობაში, სასამართლოს თანამშრომლებთან, სასამართლო სხდომათა დარბაზში, ასევე მის გარეთ პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. გამორჩეულად აღნიშნავენ მის გაწონასწორებულობას კანონის უზენაესობის დაცვას, თავდაჭერილობას და პრინციპულობას კრიტიკულ ვითარებაშიც, აგრეთვე ემოციების მართვის უნარს. არსებული ინფორმაციით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ეკა ზარნაძის მიმართ დისციპლინური დევნა დაიწყო ერთ საქმეზე, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნის

		(12.03.2018) საფუძველზე და ჩამოერთვა ახსნა-განმარტება. ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით შეწყდა დისციპლინური დევნა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ არ გამოსულა. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი წარმოება არ განხორციელებულა.
		4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით აკადემიურ წრეებში, იურიდიულ საზოგადოებაში და სტუდენტებში. მისი ქცევები მიმართულია სასამართლოს ავტორიტეტის, იმიჯის დაცვისა და ამაღლებისაკენ. კანდიდატის შესახებ ინტერნეტში მოიპოვება ინფორმაცია მისი განწესების შესახებ. რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ. **5. ფინანსური ვალდებულება** მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, ეკა ზარნაძეს საკრედიტო, ან სხვა სახის მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური (მათ შორის ბიუჯეტის მიმართ) ვალდებულება არ გააჩნია. როგორც უკვე აღინიშნა, შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატმა დაუშვა ჩვიდმეტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. საიდანაც შეფარდებულ ჯარიმებს რვა შემთხვევაში, მინიჭებული აქვს

			სტატუსი ვადაგასულია, სამ შემთხვევაში შეფარდებული აქვს გაფრთხილება, ხოლო დანარჩენ ექვს შემთხვევაში დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელები (ჯარიმები) გადახდილი აქვს კეთილსინდისიერად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.
			საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20	<u>სამართლის ნორმის ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ორ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების, სამართლებრივ საკითხებზე კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სტატიისა და მოხსენების ანალიზს და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u> აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ეკა ზარნაძე სიღმისეულად ფლობს საქართველოს სამოქალაქო

			საპროცესო და მატერიალური სამართლის საფუძვლებს. წარმოდგენილ გადაწყვეტილებათა შეფასების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სწორად აცნობიერებს მის მიერ საქმეთა განხილვა-გადაწყვეტისას გამოყენებული სამართლებრივი ნორმების შინაარსსა და სამართლებრივ დანიშნულებას. გააჩნია მათი საგნობრივი ანალიზის უნარი. წარმოდგენილ გადაწყვეტილებების მიხედვით, კანდიდატს შესწევს უნარი მოიძიოს და განსახილველ სამართალურთიერთობას ადეკვატურად შეუფარდოს კონკრეტული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, საერთაშორისო აქტები და შეთანხმებები, აგრეთვე, კანდიდატი სრულად და ადეკვატურად იყენებს გადაწყვეტილებაში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებს. საკმაოდ ვრცელი და მნიშვნელოვანი სტატია და მოხსენება აქვს წარმოდგენილი, (კერძოდ, სტატიის თემა: არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები. ხოლო მოხსენების თემა: ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის ინსტიტუტის ნორმათა უნიფიცირება და ჟენევის კონვენცია ფასიანი ქაღალდების შესახებ) შესაბამისი დასაბუთებით და არგუმენტებზე დაყრდნობით. აღნიშნულიდან გამომდინარე და ასევე გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი სიღრმისეულად ერკვევა საერთაშორისო სამართალში. ზოგადად შესწევს უნარი სწორად დასვას სამართლებრივი პრობლემა და ამომწურავად განიხილოს მისი არსი. გააჩნია დასმული საკითხის დეტალური ანალიზის, თანმიმდევრული მსჯელობის საფუძველზე ლოგიკური დასკვნის გამოტანის უნარი.

			კანდიდატთან ჩატარებულმა გასაუბრებამ ცხადყო, რომ ის ეცნობა ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას. კანდიდატის წერის უნარი პოზიტიურად აქვს დახასიათებული ასევე რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებსაც.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	<u>სამართლის ნორმის ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ორ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების, სამართლებრივ საკითხებზე კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სტატიისა და მოხსენების ანალიზს და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u> მიმაჩნია, რომ შესწავლილ გადაწყვეტილებებისა და კანდიდატის ნაშრომებში ჩამოყალიბებული მოსაზრებები საფუძვლიანი და თანმიმდევრულია. მისი დასკვნები მოხმობილი ფაქტობრივი და სამართლებრივი არგუმენტებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს. ჩემი აზრით, კანდიდატს შეუძლია ცალკეულ სამართლებრივ საკითხზე არსებული სასამართლო პრაქტიკის, შიდასახელმწიფო და საერთაშორისო კანონმდებლობის სწორი შედარებითი და საგნობრივი ანალიზი და დამაჯერებელი დასკვნის გამოტანა. წარმოდგენილი გადაწყვეტილებებით და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებით, ჩემი აზრით, კანდიდატს შეუძლია ძირითად სამართლებრივ საკითხზე კონცენტრირება და მისი ანალიზი. მიმაჩნია, რომ კანდიდატს გააჩნია თანმიმდევრული მსჯელობისა და განხილული მასალის

			საფუძველზე ლოგიკური დასკვნის გაკეთების უნარი. ეკა ზარნაძეს 24 წლიანი პროფესიული გამოცდილება სრულად სასამართლო სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე საქმიანობას მოიცავს. 2020 წლის ივლისიდან დღემდე ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში. კანდიდატის წერის უნარი პოზიტიურად აქვთ დახასიათებული რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებსაც, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ეკა ზარნაძეს აქვს დასაბუთების მაღალი სტანდარტი.
წერის უნარი	18	20	<u>წერის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილ ორ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების, სამართლებრივ საკითხებზე კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სტატიისა და მოხსენების, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> კანდიდატის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალა შესრულებულია გამართული ენით და იკითხება ადვილად. აზრი ნათლად და გარკვევით არის გადმოცემული. შემიძლია დავასკვნა, რომ იგი ზუსტად გადმოსცემს სათქმელს როგორც ენობრივად, ისე პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით. იურიდიული ტერმინოლოგია ბუნებრივად არის ჩართული საერთო ენობრივ კონტექსტში. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა დაინტერესებული პირისათვის რთულად აღსაქმელი არ არის. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა.

			კანდიდატის წერის უნარი პოზიტიურად აქვთ დახასიათებული რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებსაც.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	~~ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.~~ შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი მეტყველებს გარკვევით, საუბრისას საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ჩემი აზრით, საკუთარ მოსაზრებას როგორც წესი ლაკონიურად და საკმაოდ ცხადად, დამაჯერებლად გადმოსცემს. მისი მსჯელობა თანმიმდევრული და ლოგიკურად გამართულია. ზოგადად, დატოვა ტაქტიანი და კომუნიკაბელური ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატი სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს ზეპირსიტყვიერად, გადმოსცემს ძალიან გასაგებად. გასაუბრებისას კანდიდატი იყო თავდაჯერებული. კანდიდატის ზეპირი კომუნიკაციის უნარი პოზიტიურად აქვს შეფასებული რეკომენდატორებს და გამოკითხულ პირებსაც.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	 პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი თბილისის საapელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს

			(2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით) რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად: ეკა ზარნაძეს საანგარიშო 958 დღეში დასრულებული აქვს 842 საქმე (დღეში საშუალოდ 1 საქმე), რაც მისი სამუშაო რეჟიმის დატვირთულობაზე მეტყველებს. ამ პირობებში კანდიდატს აქვს საქმის განხილვის საერთო საპროცესო ვადის დაცვისა (95,5%) და გადაწყვეტილების მომზადების ვადის დაცვის (100%) უმაღლესი მაჩვენებლები. ამავდროულად, აქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის (96,2%) საკმაოდ მაღალი მაჩვენებელიც. აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ეკა ზარნაძე საქმიანობს მოწესრიგებულად და გულმოდგინედ ეკიდება სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ეკა ზარნაძე პუნქტუალური და მიზანდასახული ადამიანია, გარდა ამისა, აქვს კარგი მენეჯერული თვისებებიც.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი მოპოვებულ ინფორმაციას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს. ეკა ზარნაძემ 2007 წელს ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

			კანდიდატი დახასიათებულია პროფესიონალად, რომელსაც აქვს თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, სიახლეების მიმართ გააჩნია ღიაობა. მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების ძალიან კარგად რეალიზება.
პროფესიული აქტივობა	5	5	<u>პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.</u> კანდიდატი 1997 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, აქტიურად არის ჩართული პროფესიული წრთვნის პროგრამებში. ამასთან მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის იუსტიციის უმაღლესი სკოლის განვითარებაში, კერძოდ სასემინარო კურსებში. კანდიდატი ბოლო წლების განმავლობაში მონაწილეობდა სამართლებრივი საკითხებზე მოწყობილ 25-ზე მეტ ტრენინგსა და სემინარში.
ქულათა ჯამი	95	100	

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი : 27.05.21

ხელმოწერა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ეკა ზარნაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: თამარ ონიანი თ. ონიანი

თარიღი: 27.05.2021